

Viticulture in Historical Meskheta according to Old Turkish Defters
მევენახეობა ისტორიულ მესხეთში ოსმალური
დავთრების მიხედვით

Dali Nikolaishvili

PhD in geography, Professor, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, National member of International
Cartographic Association (ICA)
e-mail: dali.nikolaishvili@tsu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6540-3682>

Avtandil Ujmajuridze

PhD in History,
Ivane Javakhishvili Center
e-mail: ujmajuridzeavto@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-8571-0455>

Davit Sartania

PhD in history, TSU Museum, Vice-director,
Head of Ivane Javakhishvili Center
e-mail: davit.sartania@tsu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5248-2801>

Abstract: Ottoman defters of the 16th century contain rich socio-economic data of a certain region of Meskheta, a part of Georgia conquered by the Ottomans. This makes it possible to uncover Georgian traditional forms of natural resource use and the level of Georgian substratum against the background of centuries-long Ottoman domination. This time, the subject of our study is the Ottoman defters of 1574 and 1595 (registers of Gurdjistan Vilayet). One of the areas of research is to determine the dynamics of change in the way of life of Georgians, which is currently represented by us as the branch of viticulture.

The Battle of Sokhoista in the year 1545 was the main milestone of the victory of the Ottoman expansion, following which the Georgians gradually surrendered their positions. This is why these defters are important, as they were written in 1574 and 1595, about 20 years apart. Thus, they allow us to study the dynamics of various issues, although fail to present a complete picture, since the administrative-territorial unit of the same name (Gurdjistan Vilayet) occupied different areas in 1574 and 1595. Only the territory of Didi Artaan Liva was the same according to the defter of 1574, which corresponds to the total area of Didi Artaan and Panak Livs in 1595.

The research has shown that viticulture was one of the most important areas in the Gurjistan Vilayet. This is evidenced by the tax on vineyards, which was levied on almost all settlements. As well as the syrup tax (sweet juice mainly made from grapes). In 1595, in comparison with 1574, the tax on vineyard and syrup in Didi Artaan Liva decreased (in Didi Artaan and Panak Livas), although their share against the background of agricultural taxes did not change and amounted to 1.7%. Against the background of many agricultural taxes, this figure is not small at all what is clear evidence that the traditional economic structure of the population of Georgia has not changed from this point of view.

Key words: Ottoman defters, Georgian substrate, Gurjistan Vilayet, Viticulture, XVI century.

დალი ნიკოლაიშვილი

გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი, თსუ
გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო
კარტოგრაფიული ასოციაციის (ICA) ეროვნული
წარმომადგენელი

ელ-ფოსტა: dali.nikolaishvili@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-6540-3682>

ავთანდილ უჯმაჯურიძე

ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის ცენტრი.

ელ-ფოსტა: ujmajuridzeavto@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-8571-0455>

დავით სართანია

ისტორიის დოქტორი, თსუ გეოგრაფიის
მუზეუმი, დირექტორის მოადგილე, ივანე
ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი,

ელ-ფოსტა: davit.sartania@tsu.ge

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5248-2801>

აბსტრაქტი: XVI საუკუნის ოსმალური დავთრები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილი ნაწილის – მესხეთის გარკვეული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ქართული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები და ქართული სუბსტრატის დონე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ფონზე. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია

1574 და 1595 წლების ოსმალური დავთრები (გურჯისტანის ვილაიეთის დავთრები). კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ქართული ცხოვრების წესის ცვლილებების დინამიკის დადგენა, რომელსაც ამჟამად მევენახეობის დარგით წარმოვადგენთ.

ოსმალური ექსპანსიის გამარჯვების მთავარი ნიშნული იყო 1545 წ. სოხოისტას ომი, რომლის შემდეგაც ქართველები თანდათანობით თმობენ პოზიციას. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი აღნიშნული დავთრები, რადგანაც ისინი 1574 და 1595 წლებშია დაახლოებით ერთმანეთისაგან 20-წლიანი დაშორებით შედგენილი. ამიტომ ისინი სხვადასხვა საკითხის დინამიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა, თუმცა სრული სურათის წარმოჩენა მაინც შეუძლებელია, ვინაიდან ერთი და იგივე სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (გურჯისტანის ვილაიეთს) 1574 და 1595 წლებში ერთნაირი ტერიტორიული მომცველობა არ ჰქონდა. ერთადერთი ტერიტორიული თანხვედრაა 1574 წლის დავთრისეული დიდი არტაანის ლივა, რომელიც შეესაბამება 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებს ერთად.

კვლევამ აჩვენა, რომ მევენახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა გურჯისტანის ვილაიეთში. ამაზე მიუთითებს ვენახზე გადასახადი, რომელიც გაწერილია თითქმის ყველა დასახლებაზე. ასევეა გადასახადი შირაზე (ტკბილი წვენი, რომელიც უმთავრესად მზადდებოდა ყურძნისაგან). 1595 წელს, 1574 წელთან შედარებით, დიდი არტაანის ლივაში გადასახადი ვენახსა და შირაზე შემცირდა (დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებში), თუმცა მათი წილი სამეურნეო გადასახადების ფონზე არ შეცვლილა და შეადგენს 1,7 %-ს. იმ უამრავ სამეურნეო გადასახადის ფონზე ეს მაჩვენებელი მცირე სულაც არაა. ეს კი თვალნათლივ აჩვენებს იმას, რომ ქართული მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო სტრუქტურა, ამ თვალსაზრისით, არ შეცვლილა.

საკვანძო სიტყვები: ოსმალური დავთრები, ქართული სუბსტრატი, მევენახეობა, გურჯისტანის ვილაიეთი, XVI საუკუნე.

შესავალი: XVI საუკუნის ოსმალური დავთრები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობილი ნაწილის – მესხეთის გარკვეული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ქართული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ფორმები და ქართული სუბსტრატის დონე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ფონზე. ქართული სუბსტრატის გამოვლენის შესაძლებლობას, პირდაპირი თუ ირიბი გზით, გვაძლევს არაერთი მონაცემი, რომლებიც ამ დავთრებშია შესული. ესენია: 1) ქართული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა (მევენახეობა, მეღორეობა), რომლებიც

ნაკლებად იყო დამახასიათებელია ოსმალურ სამეურნეო კულტურაში; 2) ქართული ტოპონიმია და 3) ქართველებისათვის / ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი ანთროპონიმია.

ჩვენი კვლევის სფეროში ამჯერად ექცევა მხოლოდ ერთი საკითხი – მევენახეობა.

არაერთი არქეოლოგიური მონაპოვართა და ისტორიული დოკუმენტით დასტურდება, რომ ვაზს და საერთოდ, მევენახეობა-მელვინეობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურაში და რომ საქართველო მევენახეობისა და მელვინეობის ერთ-ერთი მთავარი კერაა მთელს მსოფლიოში. ამ თემაზე უამრავი ნაშრომი არსებობს [ბოხოჩაძე, 1963; კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე, 1960; კიკვიძე, 1976; ფრუიძე, 1974; ჯავახიშვილი, 1986]. შემთხვევითი არაა, რომ ლონდონის ღვინის მუზეუმში № 1 პავილიონი საქართველოს აქვს დათმობილი.

ივანე ჯავახიშვილმა კარგად წარმოაჩინა მევენახეობა-მელვინეობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაში და წერდა, რომ „ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითაგანც ჩანს, რომ მიწაწყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა ... სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სანამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“ [ჯავახიშვილი, 1986, გვ. 303]. იგი ამასთანავე საუბრობდა იმაზე, რომ მევენახეობა-მელვინეობას საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს დამპყრობლებსაც კარგად ესმოდათ და სწორედ ამიტომ რომ თემურ-ლენგმა და შაჰ-აბაზმა ქვეყნის ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს [ჯავახიშვილი, 1986, ტ. 5, გვ. 618]. ეს გზა გამოიყენებს ოსმალებმაც.

კვლევა დაეფუძნა 2 ისტორიულ წყაროს:

▪ 1574 წლის დავთარი – ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, 2016 წ.;

▪ 1595 წლის დავთარი – თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, 1941; 1947 წწ.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: 1941 წელს ს. ჯიქიამ გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ოსმალეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი ქართული სამთავროს –

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის აღწერის დავთრის ქართული თარგმანია [ჯიქია, 1941]. იგი შესრულებულია არაბული გრაფიკით (სიაკათი) და ჩაწერილია თურქულად. მას მოჰყვა დადგენილი დედნის გამოცემაც [ჯიქია, 1947], ხოლო შემდგომ დავთარს სპეციალური გამოკვლევაც მიუძღვნა [ჯიქია, 1958]. ამ გამოცემებით მკვიდრი ნიადაგი შეიქმნა არაერთი ოსმალური ძეგლის თარგმნისა და სპეციალური გამოკვლევებისათვ რეგორიცაა 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად ნოდარ შენგელიას მიერ [2016]; 1694-1732 წლების „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად ცისანა აბულაძის მიერ, გამოიცა [1979]; „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ – თარგმნილი თურქულიდან ქართულად ზაზა შაშიკაძისა და მირიან მახარაძის მიერ [2011 წელს]; „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“, თარგმნილი თურქულიდან ქართულად მირიან მახარაძისა და ნოდარ შენგელიას მიერ [2008] და სხვ.

მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში უპირველესად განხორციელდა „ძველ დავთრებში“ არსებული მონაცემების იდენტიფიკაცია, სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია, გის-ის მონაცემთა ბაზის შექმნა, შესაბამისი პირობითი აღნიშვნების შემუშავება და თემატურ რუკათა სერიის შედგენა. ამ მიზნით მოხდა რუკაზე მოცემული ობიექტების სხვა წყაროებთან ურთიერთშეჯერება, რისთვისაც გამოყენებული იქნება კვლევის შედარებითი, სემანტიკური, რექტორსპექტიული კარტოგრაფირებისა და სხვა მეთოდები. განხორციელდება „ძველ დავთრებში“ შესული ობიექტების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. კვლევის პროცესში მოეწყო აგრეთვე რამდენიმე ექსპედიცია თურქეთსა (ართვინისა და არტანის პროვინციები) და საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი). ადგილზე მოხდა ცნობების შეგროვება წინასწარ შედგენილი სტანდარტული კითხვარის მიხედვით.

დისკუსია/შედეგები: როგორც დავთრებიდან ირკვევა, გადასახადი ვენახზე გაწერილი იყო ცალკე და სხვა აგროკულტურასთან კომბინაციითაც. კერძოდ, ეს გადასახადები შემდეგი ფორმებითაა მოხსენიებული: „ვენახი“, „ვენახი და ბაღი“, „ვენახი და ბოსტანი“, „ვენახი და ბამბის ნაკვეთი“, „ვენახი და წისქვილი“, „ვენახი, ბაღი, საყანე მიწა და სახლი“, „ვენახი, ბაღი და საყანე მიწა“, „ვენახი, ბაღი, საკალოე მიწა და ყანა“ და მრავალი სხვა. ეს ვარიაციები არ გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ ზუსტად რამდენი იყო გადასახადი მხოლოდ ცალკე ვენახზე.

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადები ხილზე, შირასა ვენახზე და მასთან კომბინაციაში სხვა აგროკულტურებთან ჯამურად შეადგენდა 221 142 ახჩას (სამეურნეო გადასახადების თითქმის 7 %), ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 187 685 ახჩა (12 %-ზე მეტს) (ცხრ. 1). ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1574 წლის დავთრის მიხედვით მევენახეობის

წილი უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1595 წლის დავთარშია. მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი დასკვნა, ვინაიდან 1574 წლის დავთარი გაცილებით მეტი სიზუსტით ასახავს ვენახზე გაწერილ გადასახადს, ვიდრე 1595 წლის დავთარი. რა არის ამის მიზეზი? უპირველესად ის, რომ პირველ შემთხვევაში ვენახზე გადასახადი გაწერილია მხოლოდ 3 (ვენახი; ვენახი და ბამბის ნაკვეთი; ვენახი და ბაღი), ხოლო მეორე შემთხვევაში – 24 (ვენახი; ვენახი და ბაღი; ვენახი და ბოსტანი; და სხვ.) კომბინაციაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1595 წლის დავთარში გაწერილი გადასახადი ვენახზე გავრდილად წარმოჩინდება მაღალგადასახადიან აგროკულტურებთან კომბინაციაში როგორცაა მაგალითად, ხილი და ბოსტანი. თუმცა აღნიშნული მონაცემებიდან ნამდვილად შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება, რომ ორივე დავთრის მიხედვით, მევენახეობა დაწინაურებულ დარგად წარმოჩინდება, თუმცა სახეზეა მისი არათანაბარი ტერიტორიული განაწილება.

ცხრ. 1. ვენახზე გაწერილი გადასახადები (ახჩა)


გადასახადის ტიპი	1574	1595	ზრდა	შემცირება
ვენახი	2889	1951	938	
ვენახი და სხვა	442	6194		5752
შირა (უშირი)	217 311	179 540		37 331
ამ სამის ჯამი	221 142	187 685		33 457
სამეურნეო	2 072 287	1 525 118		547 169
გადასახადთა საერთო ჯამი	3 403 614	9 391 732	5 988 118	

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი ვენახზე (კომბინაციებით) გაწერილია ყველა (ოთხივე) ლივაში, ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 8 ლივიდან 5-ში (დიდი არტანის, პეტრესა და ჩრდილის ლივების გარდა). მათ შორის მაქსიმალური გადასახადი მოდიოდა თორთომისა და ახალქალაქის ლივებზე (შესაბამისად დავთრებისა: 1050 და 5186 ახჩა). მევენახეობის ტერიტორიული განაწილების თვალსაზრისით, გარკვეული განსხვავებაა თანამედროვე ვითარებასთან შედარებით, მაგალითად, 1595 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი ვენახზე ახალქალაქის ლივაში 7-ჯერ და მეტად აღემატებოდა ახალციხის შესაბამის მაჩვენებელს. ამჟამად კი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც თითქმის მთლიანად ემთხვევა ახალქალაქის ლივას, ვაზი დღეს თითქმის აღარ გვხვდება.

ვენახებზე გაწერილ გადასახადს თუ 1 კომლზე გაანგარიშებით გავაანალიზებთ, კიდევ ერთ თავისებურებას დავინახავთ, კერძოდ, განსხვავებაა 1 კომლზე გადასახადი როგორც დავთრების, ისე თვით ერთი

დავთრის ფარგლებში სხვადასხვა ლივის მიხედვით. შედარებით ერგვაროვნად წარმოჩნდება ვითარება 1574 წლის დავთარში, რომლის მიხედვითაც 1 კომლი ვენახზე (კომბინაციაში) იხდიდა 0,2-0,4 ახჩას, მაშინ როცა 1595 წლის დავთრის მიხედვით – 0,004-5 ახჩას. ამის მიზეზი კვლავ ვენახთან ერთად გაწერილი სხვა აგროკულტურების კომბინაცია უნდა იყოს. ამასთან 1 კომლზე გადასახადიც მაქსიმალური იყო თორთომისა და ახალქალაქის ლივებზე (შესაბამისად დავთრებისა: 0,4 და 5,0 ახჩა).

ვენახი გავრცელებული იყო ისეთ ლივებშიც, რომლებიც გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ სამხრეთით მდებარეობს, ანუ იქ, სადაც თანამედროვე პერიოდში ვაზის მოშენებას ადგილობრივები აღარ მისდევენ. ასეთია ახალქალაქისა და ფოცხოვის ლივები (ნახ. 1). ამასთან 1595 წლის დავთრის მიხედვით, ვენახზე გადასახადი გაწერილი არ იყო დიდი არტაანის ლივაზე, მაშინ როცა მისგან უფრო სამხრეთით მდებარე ფანაკის ლივას ამ მხრივ II ადგილი ეკავა მთელ ვილაიეთში [ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე და სხვ., 2021].



ნახ. 1. ჯამური გადასახადი ვენახზე სხვა აგროკულტურებთან


20-წლიან პერიოდში ვენახზე გაწერილი გადასახადის რაოდენობებს შორის განსხვავება ვლინდება როგორც ცალკეული სოფლების, ისე სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციული ერთეულების (ლივის, ნაჰიეს) მიხედვით. მაგალითად, 1574 წლის დავთრის მიხედვით, სოფ. კარნავასზე (დიდი არტაანის ლივის ფანასკერტის ნაჰიე) ვენახზე გაწერილი იყო გადასახადი 97 ახჩის, ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 225 ახჩის ოდენობით (ფანაკის ლივის

ფანაკის ნაჰიე). აქ სახეზეა ზრდის ტენდენცია, თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც ადგილი აქვს გადასახადის რაოდენობის შემცირებას, მაგალითად, სოფ. კოსორის, იგივე კუსურის (იგივე ლივა და ნაჰიე) გადასახადი შემცირდა 90 ახჩიდან 70 ახჩამდე.

1574 წლის დავთრის მიხედვით, მხოლოდ ვენახზე გადასახადი გაწერილი იყო ყველა ლივაში, თუმცა გამორჩეული იყო თორთომის ლივა (1050 ახჩა). საინტერესოა, რომ ვენახზე გადასახადი ასევე მაღალი იყო ვილაიეთის ყველაზე სამხრეთით მდებარე ოლთისის ლივაში. 1595 წლის დავთრის მიხედვით კი, მხოლოდ ვენახზე გადასახადი ჯამურად შეადგენდა 1951 ახჩას. მაქსიმალურ გადასახადს იხდიდა ახალციხისა (871 ახჩა) და ფანაკის (550 ახჩა) ლივები. მესამე ადგილზე კი ხერთვისის ლივა იდგა (410

ახჩა). სამივე ეს ლივა ქმნიდა ვენახზე გადასახადის 95 %-ს [ნიკოლაიშვილი, სართანია, უჯმაჯურიძე და სხვ., 2021].

შირა ტკბილი წვენია, რომელსაც უმთავრესად ყურძნისაგან, თუმცა სხვადასხვა ხილისაგანაც ამზადებდნენ. გ. ტივაძე ფიქრობს, რომ ოსმალები „შირას“ ყურძენზე დაწესებულ გადასახადს უწოდებდნენ [ტივაძე, 1946, გვ. 158]. იგი ასევე მიუთითებს, რომ ოსმალური დამპყრობლები ვაზის გასანადგურებლად (ვინაიდან დაკავშირებული იყო მეღვინეობასთან) სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდნენ. ქართულმა მოსახლეობამ ეს, უპირველეს ყოვლისა, ყურძენზე მძიმე გადასახადების დაწესებით შეიგრძნო. გადასახადები იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდის შემდეგ მევენახეს ყურძნის შემოსავლიდან თითქმის აღარაფერი რჩებოდა. მიუხედავად ამისა, მევენახეობაზე მთლად ხელის აღება ქართული მოსახლეობისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.



ნახ. 2. ჯამური გადასახადი ვენახზე სხვა აგროკულტურებთან კომბინაციაში (1595 წლის დავთარი)

საერთო რაოდენობის თითქმის 1/2-ია. ამასთან სოფლების 1/4-ზე მეტი (347-დან 96 სოფელი) იხდიდა გადასახადს შირაზე. ყველაზე მაღალ გადასახადს (5000 ახჩაზე მეტს) იხდიდა 11 სოფელი. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეული იყო სოფ. არსისი, რომელიც შირაზე იხდიდა 20 000 ახჩას.


1595 წლის დავთრის მიხედვით, სამიწათმოქმედო გადასახადებს შორის (მემარცვლეობის გამოკლებით) ყველაზე დიდი ადგილი ეკავა

1574 წლის დავთრის მიხედვით, გადასახადი შირაზე გაწერილია ყველა (ოთხივე) ლივაში, ხოლო 1595 წლის დავთრის მიხედვით – 8 ლივიდან 7-ში (დიდი არტაანის ლივის გარდა).

1574 წლის დავთრის მიხედვით, შირაზე გადასახადის სიდიდით განსაკუთრებით გამორჩეული იყო დიდი არტაანის ლივა. ჯამურად აქ მასზე იხდიდნენ 35 067 ახჩას, რაც ვილაიეთში შირაზე გადასახადის

მევენახეობა-მეხილეობაზე გაწერილ გადასახადებს და შირაზე მოდიოდა თითქმის 1/2. ვენახზე გაწერილის მსგავსად, ყველაზე მაღალ გადასახადს (90 440 ახჩა) აქაც იხდიდა ახლაქალაქის ლივა. მასზე მოდიოდა მთელს ვილაი-ეთში შირაზე გაწერილი გადასახადის 1/2-ზე მეტი. შემდეგ ადგილზე იდგა ხერთვისის ლივა (45 200 ახჩა).

შირაზე გადასახადის მიხედვით დიდი განსხვავებაა სოფლების მიხედვითაც. არის სოფლები, სადაც საერთოდ არ არის გადასახადი, თუმცა ზოგიერთი სოფელი სპეციალიზებულია მასზე, მაგალითად, სოფ. ჭაჭკარი (ახლაქალაქი ლივის თმოგვის ნაპიე). 1574 წლის დავთრის მიხედვით, აქ შირაზე გადასახადი შეადგენდა სამეურნეო გადასახადების საერთო ჯამის მნიშვნელოვან ნაწილს და აღემატებოდა მემარცვლეობაზე გაწერილსაც კი. ანალოგიური ვითარებაა სოფ. ჰამარდალში (თორთომის ლივის ფერთეგრეჯის ნაპიე), სადაც 1595 წლის დავთრის მიხედვით, შირაზე გაწერილი გადასახადი აღემატება სამეურნეოს (ნახ. 3).



ნახ. 3. სოფლების – ჭაჭკარისა (ა) და ჰამარდალის (ბ) სამეურნეო გადასახადები (ახჩა)

ამდენად, ორი დავთრის შედარებამ დაგვანახა, რომ მევენახეობა საკმაოდ დაწინაურებული დარგი იყო და 20-წლიან პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა სრული სურათის წარმოჩენა მაინც შეუძლებელია, ვინაიდან ერთი და იგივე სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს (გურჯისტანის ვილაიეთს) 1574 და 1595 წლებში ერთნაირი ტერიტორიული მომცველობა არ ჰქონდა. ერთადერთი ტერიტორიული თანხვედრაა 1574 წლის დავთრისეული დიდი არტაანის ლივა, რომელიც შეესაბამება 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივებს ერთად.

დასკვნები

❖ მევენახეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო გურჯისტანის ვილაიეთში. ამაზე მიუთითებს ვენახზე გადასახადი, რომელიც გაწერილია თითქმის ყველა დასახლებაზე. ამაზევე მიგვანიშნებს გადასახადი შირაზე.

❖ 1595 წელს, 1574 წელთან შედარებით, დიდი არტანის ლივაში გადასახადი ვენახსა და შირაზე შემცირდა (დიდი არტანისა და ფანაკის ლივებში), თუმცა მათი წილი სამეურნეო გადასახადების ფონზე არ შეცვლილა და შეადგენს 1,7 %-ს. იმ უამრავ სამეურნეო გადასახადის ფონზე ეს მაჩვენებელი მცირე სულაც არაა.

❖ ასევე გაზრდილია გადასახადი მევენახეობაზე (კომლების მიხედვით).

მხარდაჭერა

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით“ (HE-18-448).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011: თარგმნილი თურქულიდან ქართულად ზაზა შაშიკაძისა და მირიან მახარაძის მიერ, 2011.

2. ბოხოჩაძე ა., 1963: – მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

3. გუგუშვილი პ., 1953: – მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ. // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თ. V, 1951, გვ. 281-351.

4. გურჯისტანის ვილაიეთის., 1941: - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ / თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ-რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ; საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1941.

5. გურჯისტანის ვილაიეთის., 1958: - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ / თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ-რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ; საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, წ. 3. გამოკვლევა. ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის / ს. ჯიქია. – საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1958.

6. კეცხოველი ნ., რამიშვილი ნ., ტაბიძე დ., 1960: – საქართველოს ამპელოგრაფია. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960.

7. კიკვიძე ი., 1976 – მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1976.

8. ნიკოლაიშვილი., 2021: - ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ა., კირთაძე დ., კვეტენაძე მ. „მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით“, ცნობარი, თბილისი, 2021.

9. ფრუიძე ლ. 1974: – მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წგნ. 1.,რაჭა. თბ., 1974.

10. ჯავახიშვილი ივ., 1986: – ქართველი ერის ისტორია. // თხზ. 12 ტომად, ტ. V. თბ., 1986.

11. ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი: 2008: თარგმნილი თურქულიდან ქართულად მირიან მახარაძისა და ნოდარ შენგელიას მიერ.

12. ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ): 1979 – თარგმნილი თურქულიდან ქართულად ცისანა აბულაძის მიერ.

13. ჯიქია ს. – 1958: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. გამოკვლევა. ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა“ დასტ.